ხელშეკრულება N 189
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)
(CPV 39100000)

ქ. თბილისი 30 დეკემბერი 2019 წელი

ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“, (შემდგომში „შემსყიდველი”), წარმოდგენილი მისი დირექტორის კახაბერი გვანცელაძის სახით და შპს “ნოვისტილი ჯორჯია” წარმოდგენილი მისი დირექტორის მალხაზ შალამბერიძის სახით, (შემდგომში „მიმწოდებლად“), მოქმედი საქართველოს კანონმდებლობისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომში _,,ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 ,,დღე“, ,,კვირა“, ,,თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 ,,შემსყიდველი” – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 ,,მიმწოდებელი” – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 ,,საქონელი” _ წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში (CPV 39100000 - ავეჯი) საქონლის შესყიდვა, დანართი N1-ის შესაბამისად.

მუხლი 3. ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 2900 (ორი ათას ცხრაასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების საერთო ღირებულების შეცვლა.

3.3 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების (ერთეულის ფასის) შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

3.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

3.5 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

მუხლი 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიმწოდებელმა მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლი დანართი N1-ის შესაბამისად.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ნებისმიერ სადაო საკითხებზე;

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) დროულად აცნობოს მიმწოდებელს გაწეულ საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული ხარვეზების შესახებ;

ბ) გადაიხადოს ხელშეკრულების ღირებულება.

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. საქონლის ხარისხი და გარანტია

5.1 საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სფეროში დადგენილ სტანდარტებს და დანართი N1-ში აღნიშნულ მაჩვენებლებს.

5.2 გარანტია მითითებულია დანართი N1-ში.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

6.1. შემსყიდველი საქონლის მიწოდებიდან 10 დღის განმავლობაში იტოვებს უფლებას განახორციელოს კონტროლი ან/და გამოცდა, რათა დარწმუნდეს მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვლისწინებულ ტექნიკურ პირობებთან (ინსპექტირება).

6.2 მიწოდებული საქონლის შესაბამისობის შემოწმება ვიზუალური, ტექნიკური ან/და დოკუმენტური მეთოდით ხელშეკრულების პირობებთან.

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 2 (ორი) დღეში გამოასწოროს წუნი ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

მუხლი 7. საქონლის მიღება_ჩაბარების წესი

7.1 საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

7.2 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებულ ან უხარისხო საქონლის მიღებაზე. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი თავისუფლდება ხელშეკრულების ღირებულების გადახდის ვალდებულებისაგან.

7.3 საქონლის მიღებას აწარმოებს ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“, თანამშრომელი.

მუხლი 8. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

8.1 ანგარიშსწორება მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად, ფაქტიურად მიღებული საქონლის, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 დღის ვადაში, წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8.2 ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი

8.3 ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო.

8.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ბრალეული მხარე დაზარალებულ მხარეს აუნაზღაურებს დოკუმენტალურად დადასტურებულ მიყენებულ ზიანს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.2 მიმწოდებელი პასუხს აგებს მისთვის დაკისრებული ვალდებულებების სათანადო შესრულებისათვის და ვალდებულია აანაზღაუროს მისი ქმედებით დამდგარი ყველა სახის ზიანი.

9.3 მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მას ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,07% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 10. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

10.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით.

10.2 მიმწოდებელი ვალდებულია შესყიდვის ობიექტის მიწოდება უზრუნველყოს ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან 2020 წლის 10 იანვრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

10.3 შესყიდვის ობიექტის გადაცემა მოხდება სასაქონლო ზედნადებისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელშიც აღინიშნება შესყიდვის ობიექტის ზუსტი დასახელება, მისი რაოდენობა, ფასი და სხვა აუცილებელი ინფორმაცია.

10.4 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუქტის ,,ა" ქვეპუნქტითა და გათვალისწინებული დანართი N1-ით განსაზღვრული საქონლის 10.2 პუნქტით განსაზღვრული მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში ან 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

10.5 საქონლის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. 29-29ა, მე-3 სართული, ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს

მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მიმწოდებელისა და/ან შემსყიდველის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.2 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15.3 ფორს-მაჟორული სიტუაციის 10 დღეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მეორე მხარეს.

მუხლი 16. ინტერესთა კონფლიქტი

16.1 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით

ადასტურებს, რომ მისი მონაწილეობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის პროცედურაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

მუხლი 17. სხვა პირობები

17.1 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს.
17.2 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერით.
17.3 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
17.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) ეგზემპლარად და თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

18. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“:

„მიმწოდებელი“:

ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა–ბაღების მართვის სააგენტო“
მისამართი: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. N29-29ა; მე-3 სართული;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022
ს/კ 404905475

დირექტორი

_____ კახაბერი გვანცელაძე

შპს "ნოვისტილი ჯორჯია"
მისამართი: ქ. თბილისი დ.აღაშენებლის ხეივანი #24
საბანკო რეკვიზიტები: სს "თიბისი ბანკი"
ბ/კ TBCBGE22
ა/ა GE90TB1944236020100005
ს/კ 204546688
ტელ: 593 92 33 88

დირექტორი

_____ მალხაზ შალამბერიძე

დანართი N1

N	**დასახელება**	**განზომილება**	**რაოდენობა**	**ერთ.ღირებულება (ლარი) დღგ-ს ჩათვლით**	**საერთო ღირებულება (ლარი) დღგ-ს ჩათვლით**	**CPV კოდი**	**გარანტია - მიღება ჩაბარებიოს აქტის გაფორმებიდან**
1	საოფისე სავარძელი-F101	ცალი	10	290	2900	39100000	1 წელი
	სულ ჯამი:				2900		

„შემსყიდველი“:

ა(ა)იპ ,,თბილისის საბავშვო ბაგა–ბაღების მართვის სააგენტო“
მისამართი: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. N29-29ა; მე-3 სართული;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022
ს/კ 404905475
დირექტორი

_____ კახაბერი გვანცელაძე

„მიმწოდებელი“:

შპს “ნოვისტილი ჯორჯია”
მისამართი: ქ. თბილისი დ.აღაშენებლის ხეივანი #24
საბანკო რეკვიზიტები: სს “საქართველოს ბანკი“
ბ/კ BAGAGE22
ა/ა GE30BG0000000247650000
ს/კ 204546688
დირექტორი

_____ მალხაზ შალამბერიძე

ვიზირებულია:

30 დეკემბერი 2019 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ვადასტურებს, რომ შპს "ნოვისტილი ჯორჯია" და მისი დირექტორი მალხაზ შალამბერიძე ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით:

დავით კეკენაძე - ადმინისტრაციის უფროსი

ირმა ჭანტურიძე - სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი

გიორგი ქიმერიძე - ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილების მთავარი სპეციალისტი (იურისტი)

თათია მარგველაშვილი - შემსრულებელი - სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტი

ნათია ხუციშვილი - ლოჯისტიკის სპეციალისტი

ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა–ბაღების მართვის სააგენტო
N(N)LP TBILISI'S KINDERGARTEN MANAGEMENT AGENCY

წერილის ნომერი:**66-0119319622**
თარიღი: **15/11/2019**

ადრესატი:

კახაბერი გვანცელაძე
ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო-დირექტორი

ბატონო კახაბერ,
შესყიდვების სამსახურში, მწყობრიდან გამოვიდა და შეკეთებას აღარ ექვემდებარება სამი სავარძელი. გთხოვთ, დაგვრთოთ ნება შესყიდვა გავითვალისწინოთ 2020 წლის ბიუჯეტში და შესაბამისად 2020 წელს მოხდეს აღნიშნული სავარძლების შესყიდვა.

პატივისცემით,

ირმა ჯანტურიძე

ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო-სახელმწიფო შესყიდვების განყოფილება-
განყოფილების უფროსი

ქ.თბილისი, 0186, მიცკევიჩის ქ. 29/29ა ტელ.: (32) 2 37 82 43 ელ-ფოსტა: kids@tbilisi.gov.ge
Address: Tbilisi., 0186, Mitskevichi ave #29-29a tel.: (32) 2 37 82 43 E-mail: kids@tbilisi.gov.ge

ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა–ბაღების მართვის სააგენტო
N(N)LP TBILISI'S KINDERGARTEN MANAGEMENT AGENCY

წერილის ნომერი:**66-01193521399**
თარიღი: **18/12/2019**

ადრესატი:

კახაბერი გვანცელაძე
ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო-დირექტორი

ბატონო კახაბერ,

მოგახსენებთ, რომ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ადმინისტრაციის თანამშრომელთათვის სათანადო პირობების შექმნის მიზნით (ადმინისტრაციას დაემატა რამდენიმე ახალი თანამშრომელი, ასევე დაზიანებულია 4 სავარძელი) საჭიროა 7 ცალი საოფისე სავარძლის შესყიდვა.

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს განახორციელოს შესყიდვისთვის საჭირო ღონისძიებები.

პატივისცემით,

მირანდა ჩანქსელიანი

ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო-ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილება-განყოფილების უფროსი

ქ.თბილისი, 0186, მიცკევიჩის ქ. 29/29ა ტელ.: (32) 2 37 82 43 ელ-ფოსტა: kids@tbilisi.gov.ge
Address: Tbilisi., 0186, Mitskevichi ave #29-29a tel.: (32) 2 37 82 43 E-mail: kids@tbilisi.gov.ge